№ 152 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. პარასკევი, ივლისის 9 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადება-ნი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვალირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწიფო თეატრი

პარასკევს, 9 ივლისს

საინიციატივო ჯგუფი იწვევს ყველა ქართველ ხელოვანს

მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მსახიობთ, მუსიკოსებს.

გრიგოლ რობაქიძე გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე

„ხელოვანთა მოვალეობა“

ვსთხოვთ ყველა ქართველ ხელოვანს აუცილებლად დაესწრონ.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.

საინიციატივო ჯგუფი—გრ. რობაქიძე, დ. შევარდნაძე, ალ. წუწუნავა. 736 1

## გამგეობა კავკასია-თურქესტანის საპაიო ამხანაგობისა

„ზ. ა. ჯორჯაძე და ძმ. აგრიევები“

იწვევს ამხანაგობის წევრთ საგანგებო საზოგადო კრილობაზე დასასწრებლად, რომელიც მოხდება 1920 წელს, აგვისტოს 1-ს, დღის 12 საათზე ქალ. ტფილისში, სახლი № 14 რუსთაველის პროსპექტი.

განსახილველი საგნები:

1. გამგეობის მოხსენება ამხანაგობის ძირითადი თანხის გადიდების შესახებ.
2. გამგეობის მოხსენება ამხანაგობის სახელწოდების და მის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლის შესახებ. 735 1—1

## მიიღება ხელისმოწერა

ყოველთვიურ ჟურნალ „გზათა უწყების მოამბე“-ზე

რომელიც გამოვა ამა წლის ივლისის პირველ რიცხვებში. ჟურნალში იქნება

ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილება

მისამართი: ტფილისი, გზათა დეპარტამენტის კანცელარია (ვაგზლის ქუჩა № 1), ჟურნალ „გზათა უწყების მოამბე“-ს მდივანს. 718 3—2

## ქუთაისის საცდელი მინდორი

აცხადებს, რომ ამა წლის ივლისის 14 ს დილის 10 საათზე საცდელ მინდვრის ეზოში, მდებარე სადგურ აჯამეთთან (ყოფილ ანანოვის მამულში) გაიყიდება საჯარო ვაჭრობის წესით

ხეხილის ბაღის მოსავალი, ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ატამი

და სხვა ხილი. ბაღი არის ზომით დაახლოვებით 3 ქცევა. საჯარო ვაჭრობა დაიწყობა 50.000. მანეთიდან. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა შემოიტანონ 10 პროცენტი დასაწყისი თანხისა. დანარჩენი თანხა უნდა იქნეს შემოტანილი ხილის წაღების დროს. ყოველივე დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისის საცდელ მინდორზე სადგურ აჯამეთთან. 1744 3—2

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა,

ტფილისის საპყრობილეთა მცველი ათასეულისა 1920 წლის მაისის 1-დან.

| №№ რიგზე. | თანამდებობა და ხარჯის დანიშნულება. | რიცხვი. | თვიითეულს თვიურად. | ყველას 1920 წ. მაისის 1-დან ივნისის 1-მდე. |
|---|---|---|---|---|
| 1 | ათასეულის უფროსი | 1 | 3750 | 3750[1]) |
| 2 | მისი თანაშემწე | 2 | 3300 | 6600 |
| 3 | ადიუტანტი | 1 | 2700 | 2700 |
| 4 | გუნდის უფროსი | 4 | 2700 | 10800 |
| 5 | გუნდის უფროსის თანაშემწე | 16 | 2250 | 36000 |
| 6 | არამწყობრი გუნდის უფროსი | 1 | 2700 | 2700 |
| 7 | თანაშემწე | 1 | 2250 | 2250 |
| 8 | საქმის მწარმოებელი | 1 | 2000 | 2000[2]) |
| 9 | ხაზინადარი | 1 | 2700 | 2700 |
| 10 | იარაღის გამგე | 1 | 2700 | 2700 |
| 11 | კაპელმეისტერი | 1 | 2250 | 2250 |
| 12 | მანქანით გადამწერი | 1 | 1300 | 1300 |
| 13 | გადამწერი | 5 | 1300 | 6500 |
| 14 | ზემდეგი | 4 | 1600 | 6400 |
| 15 | უფროსი ნაცვალი | 4 | 1525 | 6100 |
| 16 | უმცროსი ნაცვალი | 12 | 1475 | 17700 |
| 17 | საგუშაგოს მცველი | 400 | 1400 | 560000 |
| 18 | ექიმი | 1 | 3000 | 3000 |
| 19 | ფერშალი | 2 | 2000 | 4000 |
| | ჯამი | 459 | 42900 | 679450[3]) |
| 20 | ჩაცმა დახურვა: ა) უფროსების (6.000 მან. თითოს წელიწადში 31 კაცის ანგარიშით და ბ) მცველების 5 000 მან. თითოს წელიწადში 428 კაცის ანგარიშით) | — | — | 193833 |
| 21 | სასმელი-საჭმელი | — | — | 914461 |
| 22 | ძინის ქირა, განათება და გათბობა | — | — | 169300 |
| 23 | საგზაო ხარჯი | — | — | 20000 |
| 24 | საკანცელარიო ხარჯი | — | — | 16000 |
| 25 | ინვენტარის და გადამზიდავ საშუალებათა შეძენა, შეკეთება და შენახვა | — | — | [illegible] |
| 26 | მხლებელთათვის და შემთხვევის გამო დახმარების აღმოსაჩენად. | — | — | 20000 |
| | ჯამი | — | — | 1363594 |
| | სულ | — | — | 2043044 |

[1]) შენიშვნა: მცველი ათასეულის პირად შედგენილობას მიეცემა ბინა ჯამაგირების გამოუკლებლად, ხოლო ბინა თუ არ მიეცა, იმ შემთხვევაში მიეცეს 25% ჯამაგირისა.

[2]) უფროსებს და მცველთ მიეცეს სამხედრო სამინისტროდან ტანსაცმელი (საერთო ფორმისა), ფეხსაცმელი და სასმელ-საჭმელი, რომელთა ფასს გაიღებს იუსტიციის სამინისტრო, ამ ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული სათანადო თანხიდან.

[3]) ათასეულის უფროსი და ექიმი დაინიშნებიან იუსტიციის მინისტრის მიერ, ხოლო ათასეულის უფროსის თანაშემწენი, ადიუტანტი, გუნდის უფროსი, მათი თანაშემწე, იარაღის გამგე, არამწყობრი გუნდის უფროსი, მისი თანაშემწე, საქმის მწარმოებელი, ხაზინადარი, და ფერშლები დაინიშნებიან საპყრობილეთა ინსპექტორის მიერ, დანარჩენთ კი ნიშნავს ათასეულის უფროსი.

1920 წ. ივნისის 29.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

### ოფიციალური განყოფილება

## კანონი

**ტფილისის საპყრობილეთა მცველი ათასეულის დაარსებისა.**

1. დაარსებულ იქნეს ამა 1920 წლის მაისის 1-დან ტფილისის საპყრობილეთა მცველი ათასეული თანახმად ამა კანონთან დართული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისა.

2. პირველ (1) მუხლში აღნიშნულ მცველი ათასეულის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ამა 1920 წლის მაისის 1-დან ივნისის 1-დე ორი მილიონი ორმოცდა სამი ათას ორმოცდა ოთხი (2.043.044) მანეთი.

3. კანცელარიის და ყაზარმების მოსაწყობად და საჭირო ინვენტარის შესაძენად გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან იუსტიციის მინისტრის განკარგულებისათვის ერთდროულად ხუთასოცი ათასი (520.000)

4. ამ კანონით დამტკიცებულ შტატზე გავრცელებულ იქნეს დამფუძნებელი კრების ამა 1920 წლის თებერვლის 10 ს დეკრეტით დაწესებული მომატება ჯამაგირისა.

5. კანონი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელ კრების მიერ.

1920 წ. ივლისის 29-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი

**გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.**

4 ივლისი, 1920 წ. № 71.

გზათა უწყების წარმომადგენლად ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორთან გზათა უწყების დაწესებულებათა ჩასაბარებლად და მოსაგვარებლად ინიშნება ინსპექტორი გზათა დეპარტამენტთან, გზათა ინჟენერი ნიკოლოზ გვარამაძე, რომელსაც ევალება დაუყონებლივ გაემგზავროს ბათუმში და შეუდგეს მუშაობას.

მასვე წაყვებიან სათანადო შტატით: რესპუბლიკის ნავთსადგურთა სამართველოს უფროსი, გზათა ინჟენერი იოსებ მამაცაშვილი და რესპუბლიკის გზატკეცილების სამმართველოს წარმომადგენელი გზათა ინჟენერი იოსებ ანდრონიკაშვილი.

ინჟენერ ნ. გვარამაძეს და ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა უფროსებს ევალებათ ჩაიბარონ ნავთსადგური, სამართველო ყოველივე საქმეებით, მოწყობილებით, ბინებით, საწყობებით და სხვა, აგრეთვე გზატკეცილების დისტანციის სამმართველო ყოველივე ქონებით, საქმეებით და სხვა. ინჟენერ ნ. გვარამაძეს უფლება აქვს საკუთარის განკარგულებით დაითხოვოს სამსახურიდან ბათუმის ოლქის აღნიშნულ დაწესებულებათა ყველა ის მოსამსახურე, რომელთა დატოვება საქართველოს რესპუბლიკის სამსახურში სასურველი არ არის, ხოლო დატოვება ასეთ მოსამსახურესი რესპუბლიკის სამსახურში უეჭველად უნდა იქნეს შეთანხმებული გენერალ-გუბერნატორთან.

რკინის გზების ქონების ჩაბარება, როგორც მთელ ხაზზე ნატანებიდან ბათუმამდე, თვით ბათუმში და ნავთსადგურშიდაც ევალება რკინის გზების სამმართველოს უშუალოდ.

გზათა დეპარტამენტის დირექტორი

**პიპინაძე.**

—

**მიწათ-მოქმედების მინისტრისა.**

26 ივნისი, 1920 წ. № 212.

**ინიშნებიან:** ვ. მ. გიორგაძე და რ. დ. საგინოვი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 211.

**დანიშნულ** იქნას: გადასახლების განყოფილების საქმის მწარმოებელი ვასილ იროდიონის ძე რცხილაძე შირაქის სარაიონო გადასახადების საქმის გამგეთ ამა წლის 26 ივნისიდან.

**დანიშნულ** იქნას: მოქალაქე იოსებ კირილეს ძე რაზმაძე გადასახლების განყოფილე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის საქმის მწარმოებლად ამა წლის 26 ივნისიდან.

**დანიშნულ** იქნას: მოქალაქე შავლა გიორგის ძე ხათაძე გადასახლების დროებით საქმის მწარმოებლის თანაშემწეთ ნახევარი ჯამაგირით ამა წლის 26 ივნისიდან.

25 ივნისი, 1920 წ., № 210.

**ინიშნება**: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში უფროსი მიწის მზომლის თანამდებობაზე რომან იაკოფის ძე ნირნენკო ამა წლის 15 ივნისიდან.

№ 209.

**ინიშნება**: სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში პირველ ხარისხის მიწის მზომლის თანამდებობაზე მიხეილ ალექსის ძე პეჩენკინი ამა წლის 26 მაისიდან.

5 ივნისი, 1920 წ., № 208.

**მიეცეს**: ერთი თვით სამსახურიდან დასვენება ჯამაგირის შენახვით, საინსპექტორო განყოფილების გამგე გ. ნ. ბაგრატიონ-დავითაშვილს 28 მაისიდან.

**ევალება**: საინსპექტორო განყოფილების გამგის თანამდებობის ასრულება მინისტრის საბჭოს მდივანს ა. ა. სვანაძეს იმავ რიცხვიდან.

23 ივნისი, 1920 წ., № 207.

**დათხოვნილია**: მიწათ-მოქმედების სამინისტროს ქიმიურ ლაბორატორიის ლაბორანტ-ქიმიკოსი მიხეილ მარიანაშვილი ამა წლის ივნისის 1-დან, მისი თხოვნის თანახმად.

23 ივნისი 1920 წ., № 206.

**დანიშნულია**: ილია გიორგის ძე გიორგაძე სახელმწიფო ღვინის სავაჭრო ტფილისის მაღაზიის ნოქრის თანაშემწეთ ამა წლის ივნისის 22-დან.

№ 203.

**გადაყვანებულია**: სკრის პრაქტიკული სკოლის მასწავლებელი სვიმონ იოსების ძე გურჯანაძე საქარის პრაქტიკული სკოლის მასწავ-

21 ივნისი, 1920 წ. № 204.

**დანიშნულია**: გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგეთ გრიგოლ ქრისტეფორეს ძე ურუშაძე ამა წლის ივნისის 15 დან.

22 ივნისი, 1920 წ., № 205.

**დათხოვნილია**: სასოფლო მეურნეობის განყოფილების რეგისტრატორი მარიამ ცაგურია ამა წლის ივნისის 20-ან.

**დანიშნულია**: იმავე განყოფილების რეგისტრატორად სოფიო ახლაზიშვილი ამა წლის ივნისის 20-ან.

ლებლად ამა წლის ივნისის 1-დან.

№ 202.

**ინიშნება**: ა. ლ. ცერცვაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

№ 201.

**დამტკიცებულია**: წინანდლის სახელმწიფო მამულის ბუხჰალტერის თანამდებობის აღმასრულებელი ევგენი ვასილის ძე ჩერქეზიშვილი ამ თანამდებობაზე 1 ივნისიდან.

**დანიშნულია**: სახელმწიფო მამულების განყოფილების ნოქრად ვარლამ ფილიპეს ძე მაღულარია 11 ივნისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

**ნ. ხომერიკი.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# ბათომი

### ბრიტანეთის წარმომადგენლის განცხადება.

ქალაქში ბრიტანიის მთავრობის წარმომადგენელთა მიერ შემდეგი განცხადებაა გაკრული: „უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილებით მოკავშირეთა ჯარების მიერ ბათომის და მისი ოლქის ოკუპაცია იწყება. ქალაქს და ოლქს გადასცემენ საქართველოს 1920 წ. 7 ივლისს. ნაშუადღევს, ამიტომ ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორი მთელ ბათომის და მისი ოლქის მცხოვრებლებს უბრძანებს დაიცვან სრული სიმშვიდე და ჩვეულებრივი მუშაობა განაგრძონ. ის ბოროტათ განწყობილი პირები, რომლებიც შეეცდებიან ხელი შეუშალონ ბრიტანეთის ძალების მშვიდობიან ევაკუაციას ან საქართველოს ჯარების მშვიდობიან შემოსვლას სამხედრო დროის მომქმედ კანონის თანახმად სასტიკად იქნებიან გასამართლებულნი. საქართველოზე ძალა“-უფლების გადაცემამდე ამ ბოროტათ-განწყობილ პირებს მიაკუთვნებენ ყველას ვინც, შეაშფოთებს მცხოვრებლებს, ვინც ყალბი ცნობებით ან სიტყვებით ან საგაზეთო წერილებით ეროვნულ კლასიურ ბრძოლის გამოწვევას შეეცდება. 6 ივლისი 1920 წ. ბათომი. ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორი ბრიგადის გენერალი კუკ-კოლისი.

### სახალხო გვარდია ბათომში.

5 ივლისს ბათომში შედგენილი სახალხო გვარდია ერთი ბატალიონის შემადგენლობით ტყვიის მფრქვეველთა კომანდასთან ერთად, ბატალიონის კომანდირ კვაშალის მეთაურობით ბათომის მიდამოებში, ბარცხანის ახლო, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის უფროსს, ვ. ჯუღელს მიეგება: ვ. ჯუღელმა სახალხო გვარდიელებს მისასალმებელ სიტყვით მიმართა, და დაახასიათა ბათომის მნიშვნელობა საქართველოსთვის. ყველაზე უფრო ძვირფასი გამარჯვება საქართველოს დემოკრატიისა არის უკანასკნელი გამარჯვება, ესე იგი დაბრუნება ბათომისა, რომელიც ყოველთვის ორგანიულად იყო საქართველოსთან დაკავშირებული. ჯუღელის შემდეგ მათ მისასალმებელ სიტყვით მიმართა დამფ. კრ. წევრმა მგელაძემ, რომელმაც ბათომის პროლეტარიატს გაახსენა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის აკვანი იყო ბარცხანა და ქალაქი სადაც ბათომის მუშები ხალხის თავისუფლებას სჭედდენო. დიდძალმა საზოგადოებამ რომელიც აღლუმს დაესწრო, სახალხო გვარდიელები ყვავილებით დაფარა. გვარდიელები თავის სამხედრო საქმის ცოდნით გაკვირვებას იწვევენ.

### რუს ლტოლვილთა გამგზავრება.

6 ივლისს საღამოს გემ. „მარგარიტა“-თი ყირიმს გაემგზავრა 1.500 რუსი ლტოლვილი. ამავე გემით გაემგზავრა გენერალ ვრანგელის წარმომადგენელი ბა. ყირიმში გაემგზავრა აგრეთვე ყაბარდოს ყოფილი მმართველი ბეკოვიჩ-ჩერკასკი. ნავთსადგურში მყოფი მოხალისეთა ნაღმოსანი „ქარკი“ და წყალქვეშა ნავი „უტკა“ დღეს სევასტოპოლს მიდიან.

### ვრანგელი და ბოლშევიკები.

დღეს მიღებულია გენ. ვრანგელის მიერ კონსტანტინოპოლში მყოფ რუსეთის წარმომადგენლობასთან გაგზავნილ დეპეშის ასლი: „ეს დეპეშა გაგზავნილია რადიოთი სევასტოპოლიდან და მიღებულია კონსტანტინოპოლში ინდოეთის იმპერატორს“ მიერ. 5 ივლისი დღევანდელი დღე არის არაჩვეულებრივი დღე სამხედრო ტაქტიკის ისტორიაში. ჩვენი კავალერიის შეტევით ჟლობის მთელი კავალერიის კორპუსი რომელიც 18 პოლკიდან შესდგებოდა, გარშემორტყმულ იქნა. შტრის კავალერია მთელი დღის განმავლობაში ცდილობდა ჩვენი რკალის გარღვევას. ბოლშევიკური კავალერია დავამარცხეთ ჩვენი ჯავშნიან მატარებელთა ცეცხლით, ჯარებისა და თვითმფრინავების საშუალებით ჟლობის კორპუსი განადგურებულად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ვინაიდან მხოლოდ 1500 კაცმა გაარღვია წრე. ბრძოლის ველი, რომლის რგოლი 20 ვერს. უდრიდა, მოფენილია მოწინააღმდეგის დახოცილ გვამებით. ჯერჯერობით დათვლილია 1000 ტყვე. ხელთ ვიგდეთ არტილერია 40 ზარბაზნით და რამდენიმე ასი ტყვიისმფრქვეველი. კორპუსის მთელი ობოზი ხელში ჩაგვივარდა. მე-210-თე ბოლშევიკურ პოლკის კამანდირი მთელი შტაბით დავატყვევეთ, ხელს აწერს ადმირალი სეიმური.

### სამოქალაქო ნაწილის განცხადება.

ბათომის სამოქალაქო ნაწილის გამგეობამ შეატყობია ყველას, ვისაც დეპოზიტში შეტანილი ფული არ მოუთხოვია, რომ მათ დაუყონებლივ მიმართონ. დიდი ბრიტანეთის კონსულის კანცელარიას თავის ფულების მისაღებათ. ამ განცხადებას ხელს აწერს მაიორი შელლი.

### მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარეს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა, რომელსაც ხელს აწერს ხანუმ ხიმშიაშვილისა: ვინაწილებ რა საყოველთაო სიხარულს ბათომის ოლქის სამშობლო საქართველოსთან შეერთებას, როგორც ნამდვილი ქართველი მუსლიმანი ქალი, რომელსაც ყოველთვის მსურდა ორი ძმის შეერთება, საერთო ჩვენ მშვენიერ სამშობლოს ვუსურვებ ბედნიერებას და აყვავებას.

### მილოცვა სოხუმიდან,

მოხდა ადგილობრივ მცხოვრებთა კრება. გადასწყვიტეს კრების თავმჯდომარის ხელმოწერით შემდეგი დეპეშა გაუგზავნონ მთავრობას: „მოქალაქენი აუწერელი სიხარულით შეხვდენ ბათომის დაბრუნების ამბავს და მზათ არიან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან რესპუბლიკა“. ოჩიგვარის მოქალაქენი.

# მთავრობაში

### 8 ივლისის სხდომა.

### უკანასკნელი დადგენილებანი.

### ამერიკის კომიტეტი.

ნება დაერთოს ამერიკის კომიტეტს ობოლთა საჭიროებისათვის კომიტეტის მიერ წარმოდგენილ სიით სომხეთში ზოგიერთი ნივთის გადატანისა.

### ქართველები ნოვოროსიისკში.

საკითხი ნოვოროსიისკიდან ქართველ მოქალაქეთა გამოყვანის შესახებ, წინასწარ დასკვნისათვის სათანადო უწყებებს გადაეცეს.

### სესხი ეკონომიურ საზოგადოებას.

მიეცეს სესხის სახით ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებას 10 მილიონი მანეთი. სესხის პირობების შემუშავება ფინანსთა მინისტრთან შეთანხმებით სამხედრო მინისტრს მიენდო. სათანადო პროექტი დამფ. კრებაში უნდა იქნეს შეტანილი.

### უძრავ ქონების ჩამორთმევა.

ჩამოერთვას რკინის გზის პროფ. კავშირის საჭიროებისათვის პლეხანოვის პრ. მდებარე № 138 მიწის 774.035 კვ. საჟ. რაოდენობით.

# მიწათ-მოქმ. სამინისტროში

### პარიზში მყოფ საქართველოს მისიის ცნობა

მიწათ-მოქმედების სამინისტრომ კონსტანტინოპოლით პარიზში მყოფ საქართველოს მისიიდან ცნობა მიიღო იმის შესახებ, რომ საქართველოშა მევენახეთათვის საჭირო საგნები გამოგზავნილი არისო. გამოგზავნილია აგრეთვე საუკეთესო ხარისხის გოგირდი, რომელიც 3000 ფუთს აღემატება. გარდა ამისა საქართველოსთვის გამოგზავნილი იქნება კიდევ 12.000 ფუთი.

### კარუჩინის ტყის ექსპლოატაცია

ინჟინერმა ქურდიანმა კარუჩინის ტყის ექსპლოატაციის შესახებ მოხსენება შეადგინა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კარუჩინის ტყის ხის ჯიში მეტად ძვირფასია. უმეტესობას მუხა წარმოადგენს. ტყე, როგორც თავის შემადგენლობით, ისე თავის ადგილ მდებარებარეობით ძვირფასია. მაგრამ ტყის ექსპლოატაცია, სამუშაო ხელფასის სიძვირის გამო და აგრეთვე იმ მიზეზით, რომ ტბიან ადგილს წარმოადგენს, დიდ დაბრკოლებას ხვდება. საჭიროა ტყის ამოსაშრობათ ზომების მიღება. ტფილისის სამაზრო ერობა, აღნიშნავს, ინჟ. ქურდიანი შეშის დამზადებას მანქანებით დაიწყებს, მაშინ ეს ტყე მოგვცემს წელიწადში 3 ათას კუბ. საჟ. შეშას, რომელიც 4000 მან. წმინდა შემოსავალს დასტოვებს.

# ფინანსთა სამინისტროში

### ერთდროული განსაკუთრებული გადასახადი.

იმ სახელმწიფო ხარჯების დაფარვის მიზნით, რომელიც სამხედრომოქმედებამგამოიწვია, ფინანსთა სამინისტროში ერთდროულ განსაკუთრებულ გადისახადის შესახებ სათანადო კანონპროექტი მუშავდება. განზრახულია ამგადასახადის გადახდაში მიაღებიონ მონაწილეობა კერძო წარმოებებს და იმ პირებს, რომლებმაც გამდიდრების შესაძლებლობა მიიღეს და ამავე დროს სახელმწიფოს დაცვაში პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ, სახელდობრ: 1) სააქციონერო საზოგადოებებსა და საკრედიტო დაწესებულებებს. 2) სავაჭრო და სამრეწველო წარმოებებს. 3) კაპიტალის მეპატრონეთ, 4) ქალაქში უძრავ ქონების მეპატრონეთ და ყველა სხვა მოქალაქეს, რომელთაც 1919 წელში შემოსავალი ქონდათ არა ნაკლებ ასი ათასი მანეთისა მათ გადაახდევინებენ შემოსავლის კვალობაზე იმ გადასახადის მეოთხედ ნაწილს, რომელიც მათზე იყო მიწერილი 1919 წ. გადასახადების ხარჯთ-ამკრები ინსპექტორები და გადასახადთა ამკრები სამმართველო გააწერს. გაწერილი გადასახადის თანხის განსაჩივრება არ შეიძლება, გარდა მე-5 პუნქტში აღნიშნულ თანხისა. გადასახადი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არ იქნება ხაზინაში შეტანილი ვალად გადაირიცხება და იძულებითი წესით იქნება აღებული.

# უცხოეთი

### საინფორმაციო განყოფილ. ცნობები.

**ტულა.** პლეხანოვის სადგურთან დაიმსხვრა მატარებელი. დაიღუპა 250 კაცამდე. დაიღუპა აგრეთვე ძვირფასი ბარგი. მთავარმა რევოლ. ტრიბუნალმა დაადგინა, რომ მატარებლის დამსხვრევა იყო შედეგი ტეხნიკურ დაუდევრობისა და პერსონალის გულგრილობისა. დამნაშავეთ იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს ორი წლიდან 8 წლამდე.

**ნიუ-იორკი.** დამოკიდებულება ამერიკასა და ინგლისს შორის თანდათან მწვავდება. განსაკუთრებით მდგომარეობა გამწვავდა ამერიკის სენატის მიერ უკანასკნელი რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ, რომელიც ამერიკის დელეგატებს წინადადებას აძლევს, მიიღონ ზომები, რათა ინგლისის მთავრობამ ირლანდიელ რესპუბლიკანელებს მოუსმინოს. ლოჯმა სენატში განაცხადა, მართალია უხერხულია, რომ ამერიკა ინგლისის შინაურ საქმეებში ჩაერიოს, მაგრამ ხალხთა ლიგა ამერიკას აიძულებს ევროპაში დაიცვას წონასწორობაო. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამერიკა ერევა შინაურ მართველობაში ევროპის კონტინენტზე. დამოკიდებულება ინგლისსა და ამერიკის შორის უფრო გამწვავდება, თუ ამერიკამ სულ მოკლე ხანში საზავო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა. ხალხთა ლიგის მოწინააღმდეგენი სენატში აცხადებენ, რომ ამერიკა დამოუკიდებელ კონტროლის უფლებას საბოლოოდ დაკარგავს, თუ ხალხთა ლიგა დამტკიცებულ იქნაო. სხვათა შორის ამერიკის პრესა აღნიშნავს, რომ ამ ჟამად, ინგლისის შეურიგებელი მტრები არიან სენატის სწორედ ის წევრები, რომლებიც პირველად მომხრენი იყვნენ ინგლისის ამერიკის ომში ჩარევისა, და საფრანგეთის დასახმარებლადო. ახლა ისინი აცხადებენ, რომ ინგლისს არ შეუძლია დააფასოს სავსებით ამერიკის მიერ გაწეული დახმარება, რომელიც ევროპის დემოკრატიის გადასარჩენათ იყო მიმართული. სენატის ოპოზიცია, რომელიც წინააღმდეგია ამერიკის ევროპის საქმეებში ჩარევისა, ყოველ დღე იზრდება. მაგრამ ამასთანავე ხალხთა ლიგის მომხრეები სასტიკ კომპანიას აწარმოებენ, რათა საზოგადოება ხალხთა ლიგის დამტკიცების აუცილებლობაში დაარწმუნონ.

**პარიზი.** „ეხო დე პარი“ გადმოგვცემს ვარშავის გაზეთების ცნობებს: გერმანიის მზადება პოლონეთის წინააღმდეგ დასრულდა. 18 გერმანელების დივიზია მზათ არის პოლონეთის საზღვრები გადალახოს. მათ შორის 6 დივიზიამ დომბროვის მაღაროები უნდა დაიკავოს. 6-მა მლავის წინააღმდეგ უნდა გაილაშქროს, 4-მა სხვამ კი სუვალკის რაიონში უნდა იმოქმედოს.

**ლონდონი.** გაზ. „დეილი ქრონიკლ“-ში მოთავსებულ წერილში ხერ გიპსი სწერს: „ბერძნები ოსმალეთის ტერიტორიას სამართლიანად მართავენ. სმირნის პრეფექტი ოსმალოა. ყველა ოსმალო, მუნიციპალური მოსამსახურე, თავის ადგილზეა დატოვებული. საბერძნეთის მართველობის დამკვიდრების ფაქტი ოსმალებმა მშვიდათ მიიღეს.

**მოსკოვი.** კავშირთა სასახლის დარბაზში პროფ. კავშირთა მოსკოვის საგუბერნიო საბჭოს სასწრაფო სხდომა შესდგა. ამ სხდომაზე განიხილეს ყოფა-ქცევა მბეჭდავთა კავშირის გამგეობისა, რომელიც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ კამპანიას აწარმოებდა. წაკითხულ იქნა კავშირის დეკლარაცია. მომხსენებელი ანდრეევი ამტკიცებდა, რომ გამგეობაში მენშევიკები არიან მოკალათებულნიო. ამიტომ მოსკოვის საგუბერნიო საბჭომ დაადგინა: დაითხოვოს მოსკოვის გუბერნიის მბეჭდავთა კავშირის განყოფილების გამგეობა. ამავე სხდომაზე განიხილეს მეპურკეების საქციელი, რომლებიც ყოველ დღე 3 გირვანქას პურის გარდა, კიდევ ეგრედ წოდებულ დამატებით ჩაის წილს დაახლოვებით 3 გირვანქა პურს იღებდენ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს „სისტემატიურ“ ბოროტმოქმედების გამო დათხოვნილ იქნეს მეპურკეთა სექცია.

**გროზნო.** გროზნო-პეტროვსკის ნავთსადენი შეკეთებულია. ყოველდღიურათ 180.000 ფუთი ნავთის გადაქაჩვა შეიძლება.

**პარიზი.** გერმანიის ხალხთა ლიგაში შეყვანის საკითხის გამო ლოიდ ჯორჯსა, კლემანსოსა და სხ. წარმომადგენლებს შორის ცხარე კამათი გაიმართა. საფრანგეთი მომხრეა გერმანიის ხალხთა ლიგაში შეყვანისა-

**მოპენჰაგენი.** ინგლისის საზღვაო ძალები 2 ჯავშნიან გემის და 7 ნაღმოსნის შემადგენლობით ამირბარ როდჟერ კეისის ხელმძღვანელობით შვეციის წყლებისაკენ გაემართენ. ამ მანიფესტაციის მიზანია დაიცვას ფინეთი რუსეთის ბალტიის ფლოტის შეტევისაგან. შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ რუსეთის ბალტიის წითელი ფლოტი რუსეთსა და ფინეთის შორის საზავო მოლაპარაკების წარმოების დროს გავლენის მოხდენას შეეცდებაო.

**კონსტანტინეპოლი.** გაზეთი „სტამბოლი“ იტყობინება მოკავშირეებს განზრახვა აქვთ ბოსფორში ზოგიერთი ფორტი მოსპონო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება მე-177 და 178 პარაგრაფით კონსტანტინოპოლის ყველა სრუტის განიარაღებასა და მოსპობას მოითხოვს იმ ფორტების გამოკლებით, რომელთაც არქეოლოგიური ღირებულება აქვს და სამხედრო მნიშვნელობას მოკლებულნი არიან. ყველა ფორტი, რომელიც კი 1.700 წლამდე არის აშენებული არქეოლოგიურად მიიჩნიეს. მაგრამ ამ ჟამად აღიძრა საკითხი, იმის გამო, რომ არქეოლოგიურ სიმაგრეებიდანაც შესაძლებელია ზოგიერთ პატარა გემებს ესროლონ. ამიტომ ისინი სამხედრო საშიშროებას წარმოადგენენ. აღძრულია საკითხი საზავო ხელშეკრულებაში სათანადო მუხლების შეცვლის შესახებ.

# ახალი ამბები

**ამერიკის ფქვილი.** მომარაგების სამინისტროში იუწყებიან. რომ ფქვილი, რომელიც ფოთში 25 ივნისს მოვიდა სომხეთისათვის არის მოტანილიო.

**მეორე საეკლესიო ყრილობა.** მეცხრე სხდომის დაწყებისას, ყრილობის პრეზიდიუმმა განაცხადა, რომ გურიას, სამეგრელოს ეპარქიის ეფისკოფოზათ ეფისკოფოსი გიორგი არის არჩეული. ყრილობა ამ არჩევას ესალმება და ამტკიცებს. კათოლიკოს ლეონიდის მოხსენების შემდეგ საქართველოს ეკლესიის საგარეო დამოკიდებულების შესახებ, მიღებულ იქნა დადგენილება: გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშა აღმოსავლეთის პატრიარქებს და გაგზავნონ იქ სპეციალური კომისიები, მუდმივი დამოკიდებულების დასამყარებლათ. რეზოლიუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შევიდნენ: გრ. ვეშაპელი, ნ. აფაქიძე, კ. ცინცაძე, და გ. ვაჩნაძე.

**მუშათა პროტესტი კომუნისტების ინფორმაციის წინააღმდეგ** ცენტრ. პრ. კავშირ. ადმას. კომიტეტში 6 ივლისს სხდომაზე განიხილეს საკითხი ბაქოს კომუნისტების ინფორმაციის შესახებ: „მიტინგის დახვრეტა ტფილისში“ და „ნ. რამიშვილის საქმიანობა“ აღმ. კომიტეტი ამ ინფორმაციის განხილვისას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბალშევიკების ამგვარი ცნობები არის პროვოკაციული. ამ გვარ პროვოკაციას აქ შეუძლია გამოიწვიოს სამოქალაქო ომი. ამიტომ ცენ. საბჭომ გადასწყვიტა მოიწვიოს ადგილობრივ საბჭოს აღმ. კომიტეტის ყველა პროფ. კავშირთა და ქარხანათა კომიტეტის საერთო კრება შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად და ამგვარ აგიტაციის საწინააღმდეგო ზომების გამოსანახავათ.

**ბათომის საქართველოზე გადმოცემის გამო მუშათა მისალმება.** პრ. კავ. აღ. კომიტეტმა 6 ივლ. სხდომაზე დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშა ბათომის პრ. კავ. ცენტრ. საბჭოს ბათომის საქართველოზე გადმოცემის გამო.

**ადერბეიჯანის კომისია.** 6 ივლისს ბაქოდან, 5 წევრი ჩამოვიდა ადერბეიჯანის საზავო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ჩამოვიდენ ადერბეიჯანის რკინის გზების უფროსი ინჟენერი ვეისი, გზათა უფროსი ინჟენერი სობიევი, ინჟენერი ნოვორდვარსკი, და სამხედრო უწყების წარმომადგენელი ინჟენერი დუნტაცი. კომისიის ჩამოსული წევრები მონაწილეობას მიიღებენ იმ კითხვების შემუშავებაში, რომელნიც დაკავშირებულია რკინის გზის კონვენციასთან, ბარგთან, ვაგონებთან, კერასინის გადაქაჩვასთან, საბაჟო გადასახადებთან, ფოილოს ხიდის აღდგენასთან და ნავთსადენთან.

**სომხების ეროვნულ საბჭოში.** სომხეთის ეროვნულმა საბჭომ 6 ივლისის უმცირესობათა უფლებების შესახებ რეზოლიუცია გამოიტანა. საბჭომ განიხილა, რა დამფ. კრების საკონსტიტუციო კომისიის კანონ-პროექტი საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა კულტურულ უფლებების დაცვის შესახებ, საბჭოს პრეზიდიუმს წინადადება მისცა მიიღოს სათანადო ზომები, რათა სომხების ეროვნულ-კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საქართველოში მოხდეს იმ თეზისების თანახმად, რომელიც ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა. რეზოლიუცია გაეგზავნა მთავრობას, დამფ. კრების ფრაქციებს და სხვა ეროვნულ საბჭოების პრეზიდიუმებს.

**ხელოვანთა კრება.** დღეს ივლისის 9-ს სახელმწიფო თეატრში საინიციატივო ჯგუფი იწვევს ყველა ქართველ ხელოვანს: მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, მსახიობთ, მუსიკოსებს. გრიგოლ რობაქიძე გააკეთებს მოხსენებას თანამედროვე მომენტზე „ხელოვანთა მოვალეობა“. ყველა ქართველ ხელოვანის დასწრება აუცილებლად საჭიროა.

**ლაგოდეხის ფრონტზე.** ლაგოდეხის ფრონტიდან დაბრუნდა ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტის წარმომადგენელი, რომელიც კომიტეტის საჩუქრებით იყო იქ წასული. კომიტეტის წარმომადგენელმა საქართ./დეპ. სააგენ. თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ წყნორის-წყლის სადგურამდე მთელი გზის გასწვრივ პურის მკას ვუცქეროდით. პურის მოსავალი ამ რაიონში საუცხოვოა. გლეხები გადმოგვცემენ რომ ვენახი, რომელიც პირველად სეტყვამ გააფუჭა, შემდეგ დროზე მიღებულ ზომების გამო და სამინისტროს მიერ გამოგზავნილ ინსტრუქტორების დახმარებით, ამ ჟამად უმჯობესდება და საერთოთ მოსალოდნელია დამაკმაყოფილებელი ღვინის მოსავალი. მიტანილმა საჩუქრებმა გამოუთქმელი კმაყოფილება გამოიწვია ჯარებს შორის, და გვთხოვეს მადლობა გამოგვეცხადებია საზოგადოებისათვის და მთავრობისათვის. ისინი პირველ დაძახებისთანავე მზად არიან მთავრობის ბრძანება შეასრულონ.

**ბათუმის დაბრუნების გამო.** სამხ. კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა აკ. ჩხენკელმა არტაანიდან მიიღო შემდეგი დეპეშა: „შავშეთ ერუშეთში და ართვინის მიდამოებში მყოფი ჯარების ოფიცრები და ჯარის კაცები უაღრეს სიხარულს გამოსთქვამენ ბათუმის ოლქის დაბრუნების გამო.

მოგილოცავთ თავდადებულო მოღვაწევ თქვენი მეტათ რთულის და მეტათ მძიმე შრომის კეთილათ დაგვირგვინებას. გისურვებთ რომ ხანგრძლივი და წარმატებითი ყოფილიყოს თქვენი მუშაობა რომელიც სამშობლოს დემოკრატიას ანთებულ ლამპარიკით მიუძღვის კეთილ-დღეობისათვის.

პოლკ. ვაჩნაძე.

**ხონის სასოფლო-სამეურნეო სემინარიამ კურსი დაამთავრეს:** 1) ე. ი. გვილავა, 2) ე. ს. დოლიძე, 3) ვ. პ. ქორჩილავა, 4) გ. ა. კვანტალიანი, 5) ა. ა. რევია, 6) კ. ნ. ქურდიანი, 7) გ. ს. ხარაბაძე, 8) მ. ს. ჩემია, 9) ხ. კ. ჯორბენაძე, 10) შ. ე. ჯორბენაძე, 11) დ. თ. ჯანჯღავა.

**საგარეო საქმეთა სამინისტროში.** ოთხშაბათს, 7 ივლის, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. ბ. საბახტარაშვილი ინახულეს საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსის ამხანაგმა მაიორ დე-ნონანკურმა და საბჭოთა რუსეთის რწმუნებულის პირველმა მდივანმა ბ-მა ანდრეევმა.

**კანონ-პროექტი ღვინის შესახებ.** მეღვინეთა და მევენახეთა ყრილობის საბჭოში განიხილეს საკითხი ღვინის კანონ-პროექტის შესახებ. სათანადო კანონ-პროექტი კომისიამ გამოიმუშავა. გამგეობამ დაადგინა პროექტის საბოლოოდ განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადასდოს. მოიწვიოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი, სპეციალისტი-ექსპერტები და ღვინის მწარმოებელთა წარმომადგენლები.

**მადლობა ქალაქთა კავშირს.** სახალხო გვარდიის საველე შტაბმა ქალაქთა კავშირის საექიმო სასანიტარო განყოფილებას მიმართა წერილით, რომელშიაც იუწყება წითელ ხიდთან ქალაქთა კავშირის მიერ გახსნილმა საკვებმა პუნქტმა დიდი დახმარება გაუწია ფრონტს გვარდიელებს და გამვლელ კომანდებს აწოდებდა ჩაის ყველსა და თუთუნს. საკვებ პუნქტში მოსამსახურე პირები ყოველთვის ერთგვარი მზრუნველობითა და ენერგით უწევდენ დახმარებას სუსტსა და ავათ მყოფ გვარდიელებს. ამ თანაგრძნობისათვის საველე შტაბი გამოსთქვამს თავის გულმხურვალე მადლობას. ამასთანავე საექიმო სასანიტარო განყოფილებამ მადლობა გადაუხადა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს საკვები პუნქტის მოქმედების გამო, რომელიც ფრონტის ძნელ ცხოვრებას აადვილებდა და ეხმარებოდა.

**სენატორის რევიზია.** თფილისში დაბრუნდა სენატორი რონიშვილი, რომელმაც მოახდინა რევიზია ადერბაიჯანთან ომის დროს მობილიზაციით გასაწვევთა და გაწვეულ ასალგაზრდა ანგარიშისა. ეს რევიზია მან მოახდინა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში.

# თეატრალური ქრონიკა.

## სახელმწიფო თეატრი.

სახელმწიფო თეატრის სამმართველოში იუწყებიან, რომ ზამთრის სეზონის განმავლობაში კერძო ანტრეპრიზა არ იქნებაო. დასი სახელმწიფო იქნება. დგება დიდი და მცირე დასი. ამასთანავე მცირე დასი რომელიც ქართული სტუდიისა და კონსერვატორიის ახალგაზრდა ძალებისაგან შედგება, უმთავრესად ტფილისის სახალხო თეატრების მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. ხდება საუკეთესო ძალების მობილიზაცია და მიღებულია ზომები სხვა სახელმწიფოთა საუკეთესო არტისტების მოსაწვევად. უკვე შედგენილია დიდი გუნდი, რომელიც ხელოვნების კომისიის მიერ კონსერვატორიის დირექტორის ჩერეპნინის თავმჯდომარეობით უკვე დამტკიცებულია. საბოლოოდ გადასწყდა ოპერა „ღალატის“ და ქართულ ოპერების განახლება. სამხატვრო საქმეებს გაუძღვება ხელოვნების კომისია რომლის თავმჯდომარეთ სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენელი იქნება. დასის სათავეში ოპერის გამგე ჩადგება. საქმის მხატვრული მხარის გასაძლიერებლად, მიღებული იქნება ყოველგვარი ზომები, რომ რუსეთიდან ყველა ჩვენი საუკეთესო ძალები, ე. ი. რეჟისორები, არტისტები და დირიჟორები საქართველოში გამოიგზავნონ. სახელმწიფო თეატრთან ბალეტის შკოლა გაიხსნება. თეატრში ჟესტის და პლასტიკის სასწავლებლად სპეციალისტი იქნება მოწვეული. პლასტიკის გაკვეთილები არტისტებისათვის სავალდებულო იქნება. გარდა საოპერო წარმოდგენებისა სიმფონიური საღამოებიც მოეწყობა, განზრახულია, ამგვარ საღამოებზე შეასრულონ ბეტხოვენის 1 და 9 სიმფონია, მოცარტი ც—დური მესა, ბეტხოვენის მესა სოლემნისა, ბერლიოზის რეკვიუმი, და სხ. მიღებული იქნება ზომები პრაგიდან დიდი ჩეხურ ორკესტრის ჩამოსაყვანად. თუ ეს შეუძლებელი გახდა, მაშინ სახელმწიფო თეატრში მუშების და ჯარის კაცების სპექტაკლებს გაამრავლებენ. სახალხო განათლების სამინისტროში ოპერისათვის გონარარის ნორმა მუშავდება.

# სასამართლოში

(7 ივლისის სხდომა).

## შალვა მაღლაკელიძისა და სხვების საქმე.

სასამართლოს სხდომა ნაშუადღევის პირველ საათზე იწყება. მოსულია ოცი ნაფიცი მსაჯული, რომელთა შორის თანახმად კანონისა 12 მსაჯულს ირჩევენ. ნაფიცი მსაჯულნი თავიანთ მამასახლისად ირჩევენ რეზო გაბაშვილს.

ამის შემდეგ კითხულობენ საბრალმდებლო აქტს, რომლის მიხედვით ბრალდებულთ ედებათ ბოროტმოქმედებანი:

1) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაიას & აზნაუროვს ბრალდებათ ის, რომ პირველმა ორმა ახალციხეში მაზრის უფროსად მაღლაკელიძის ყოფნის დროს მილიციის შესანახად მიღებულ თანხიდან ერთმანეთში წინასწარ შეთანხმებით მიითვისეს 16,288 მან. და შემდეგ ამ ბოროტმოქმედების დასაფარავად შეადგინეს ყალბი ხელწერილები ჩაჩიბაიას და აზნაუროვის სახელით.

2) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაიას და იუშკევიჩს ბრალი ედებათ მასში; რომ 1918 წლის დასასრულს ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით მიითვისეს საგუბერნიო ბათალიონის შესანახად გამოწერილი ფული 20 ათასი მ. და ბოროტმოქმედების დასაფარავად შეადგინეს ყალბი ხელწერილები ფიქტიური პიროვნებათა სახელით, რომელი ანგარიშიც წარადგინეს სახელმწიფო კანტროლში.

3) მაღლაკელიძეს, ჩაჩიბაიას, შენგელაიას და იუშკევიჩს ბრალი ედებათ მასში, რომ 1919 წლის იანვრიდან დაწყებული მაისის გასვლამდე ურთიერთ შორის წინასწარ შეთანხმებით მიითვისეს 550,000 მან., რომელიც გამოწერილი იყო საგუბერნიო ბათალიონის შესანახად საავანსო ანგარიშებით და რომელიც თანხაც არ არის დაბრუნებული ამ ბოროტმოქმედების გამოაშკარავების შემდეგაც; აგრეთვე ბრალი ედებათ მასში, რომ ბოროტმოქმედების დასაფარავად ყალბი ანგარიშები შეადგინეს და სახელმწიფო კანტროლს წარუდგინეს.

იუშკევიჩს ბრალდება აგრეთვე ის, რომ 1919 წლის აპრილში შინაგან საქმეთა სამინისტროს საანგარიშო ნაწილის უფროსის შახნაზაროვის მოთხოვნით გასცა ცნობა კომისარიატის ფულის დავთრიდან და მასში აშკარა ყალბად აღნიშნა ის თანხა, რომელიც გაცემული იყო საგუბერნიო ბათალიონის შესანახად.

4) მაღლაკელიძეს ბრალად ედება კიდევ ის, რომ 1918 წლის ივლისისა და 1919 წლ. პერიოდში, როდესაც მას თავის განკარგულებაში 400,000 მან. ჰქონდა ანარქიასთან საბრძოლველად, გადაამეტა თავის ხელისუფლებას, რომელიც გამოიხატა შემდეგში: 1) თვითნებად დანიშვნასა და დღიურ ფულის გაცემაში მის განკარგულებაში და თელავში მყოფ რაზმის წევრთათვის 50—200 მანეთი დღეში მაშინ, როდესაც ეს პირები იღებდენ ჯამაგირსა და დღიურ ფულს; 2) სხვა და სხვა პირისადმი ფულის გაცემაში მაშინ, როდესაც ამგვარად გაცემულ ფულის გასამართლებელი საბუთები არ წარუდგენია და 3) იმაში, რომ დანიშნა თავის რწმუნებულად ახალციხეში მოქალაქე ალექსანდრე აზნაუროვი და დაუნიშნა მას ჯამაგირი, რითაც საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიურ მხარეს თვალსაჩინო ზიანი მიაყენა.

5) მაღლაკელიძეს და ხოშტარიას: პირველს ბრალს სდებენ მასში, რომ გადაამეტა თავის ხელისუფლებას და ტფ. საგუბერნიო ბათალიონის გაუგებრად და მთავრობის ნებადაურთველად ბათალიონის კვარტირმეისტერს ნესტორ ხოშტარიას მისცა ბათალიონის სანოვაგის შესაძენად 100,000 მან., რომელი ფულიც ხოშტარიამ მიითვისა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსიურ მხარეს თვალსაჩინო ზიანი მიაყენა, მეორეს—ხოშტარიას ბრალი ედება იმაში, რომ მაღლაკელიძისაგან შეშისა და სანოვაგის საყიდლად 100,000 მ. მიიღო და მიითვისა.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულნი მაღლაკელიძე, აზნაუროვი, იუშკევიჩი და ხოშტარია აცხადებენ, რომ ისინი დამნაშავედ არა სცნობენ თავს. ჩაჩიბაია დამნაშავედ სცნობს თავს 550,000 მან. მითვისებაში, ხოლო შენგელაია 400,000 მან. მითვისებაში.

# ბათომის ბოტანიკური ბაღი

ბათუმიდან ცხრა ვერსის მანძილზედ ზღვის პირას, ზედ რკინის გზაზედ გაშენებულია ფრიად მნიშვნელოვანი „ბოტანიკური ბაღი“ ბაღში ნამყნობია უცხო ქვეყნის ყველა მცენარენი, რომელნიც ბათუმის ოლქის ჰავას შეეფერება. ბაღს 74 დეს. მიწა უჭირავს და გაყოფილია ნაწილებად: მექსიკური მცენარეები მაგ. ცალკეა დარგული, იაპონური ცალკეა, სხვა და სხვა ზღვისპირული ცალკე. ცალკევე არის პლანტაცია სხვა და სხვა ჩაის ბუჩქისა. მაღლობზედ, საიდგანაც მართლა რომ თვალწარმტაც სურათს წარმოადგენს ზღვა და ზღვის პირი, კოხტად არის მორთული ამ ბაღის გაშენების ინიციატორის, პროფესორი კრასნოვის საფლავი.

ამ ბაღის დანიშნულება არის—დარგოს და აზარდოს უცხო ქვეყნის მცენარენი, რომელნიც გამოსადეგნი არიან საჭმელად, წამლად და სხ.; შეისწავლოს ამ მცენარეთა მოვლა. გადაგვარების მიზეზები, მათი გამოყენება და გაავრცელოს ის ხალხში. ამ მიზნით ბაღი უსასყიდლოდ აძლევდა მსურველთ თესლს და ნერგს, მაგრამ ინგლისელთ აეკრძალათ, ბაღის ხარჯის დასაფარავად ცოტა რომ მაინც გადაახდევინეთო.

სასარგებლო მცენარეთა გავრცელების მხრივ დიდი ყურადღების ღირსია ეს ბაღი და, რაკი ბათუმის ოლქი ეხლა ჩვენია, საჭიროა რამდენადაც კი შეიძლება ხელი შეუწყოთ ამ საქმეს.

ბაღის დირექტორს, მეცნიერულად მომზადებულს, საშუალება უნდა მიეცეს შეადგინოს და დაბეჭდოს სრული სია და აღწერა იმ მცენარეთა, რომელთა გაჩენა რაიმე სარგებლობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას; აღწერილი უნდა იყოს მათი თვისებანი, მოვლა, გამოყენება და საზღვარი რომლის გარეთ მცენარე ველარ იხეირებს. სია ერთ-ერთ ევროპიულ ენაზე უნდა იყოს და ქართულადაც ხალხში გასავრცელებლად. თესლი და ნერგი, საცდელად მაინც, მსურველთ უფასოდ უნდა ეძლეოდეთ იმ პირობით, რომ შედეგი თავისი ცდისა უთუოდ აცნობონ ბაღის გამგეს, რომელიც ამ მასალით ისარგებლებს და ხელმძღვანებლობას გაუწევს მცენარეთა გამშენებელთ.

ი. მ—ანი.

# წესდება

## ზესტაფონის სახალხო უნივერსიტეტისა.

### 3) სარევიზიო კომისია.

§ 20. ყოველ წლივ საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას (არა ნაკლებ სამი წევრისა და ორი კანდიდატისა), რომელმაც წლის განმავლობაში თვალყური ადევნოს გამგეობის მოქმედებას დრო გამოშვებით შეამოწმოს საზოგადოების შემოსავალ-გასავალი და ყოველი ქონება. წლის დამლევს განიხილოს გამგეობისაგან საზოგადო კრებისადმი წარსადგენად შედგენილი წლიური ანგარიში, შეადგინოს ამ ანგარიშის და აგრეთვე თავისი წლიური მოქმედების შესახებ თავისი მოხსენება საზოგადო კრებისათვის წარსადგენად.

§ 21. სარევიზიო კომისიის წევრები თავი-

ანთ შორის ირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. სარევიზიო კომისიის სხდომების ოქმების შედგენა და საზოგადო კომისიის საქმეთა წარმოება მდივნის მოვალეობას შეადგენს.

§ 22. სარევიზიო კომისიის სხდომა ორ თვეში ერთხელ მაინც უნდა მოხდეს. ყველა ამ კრებაზე უნდა იწერებოდეს ოქმი, რომელიც წლის დამლევს სხვა ოქმებთან ერთად წარედგინება საზოგადო კრებას.

§ 23. თუ სარევიზიო კომისიამ გამგეობას რაიმე ბოროტ-მოქმედება შეამჩნია, შეეკითხა გამგეობას და გამგეობისაგან მიღებული განმარტება საკმარისად არ სცნო, კომისიას უფლება ეძლევა დაუყონებლივ მოიწვიოს საზოგადო კრება, თუ, რასაკვირველია, საგანი განხეთქილებისა საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია.

**4) საზოგადოების შეძლება.**

§ 24. საზოგადოების შეძლებას შეადგენენ: საწევრო შემოსავალი, შემოწირულებანი, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისაგან მიღებული დახმარებანი, შემოსავალი საზოგადოების სასარგებლოდ გამართული გამოფენებიდან, ლექციებიდან, კონცერტებიდან, წარმოდგენებიდან შემოსავალი საზოგადოების გამოცემებიდან, შემოსავალი საზოგადოების დაწესებულებათა, თანხებისა უძრავქონებათა და ყოველი სხვა და სხვა მოულოდნელი შემოსავალი.

**5) საზოგადოების დახურვა.**

§ 25. საზოგადოების მოქმედების სამუდამო შესაწყვეტად მოწვეულ უნდა იქნეს განსაკუთრებული სალიკვიდაციო კრება, რომელიც კანონიერი იქნება მაშინ, თუ წევრთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლები არ დაესწრება და თუ პირველი სალიკვიდაციო კრება ვერ შესდგა, მოწვეულ იქნება ორი კვირის შემდეგ ახალი კრება; სალიკვიდაციო კრების დღე ერთი თვით მაინც უნდა ადრე იყოს გამოცხადებული. მეორე კრება კანონიერია რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

§ 26. როგორადაც საზოგადოების დახურვის, ისე დარჩენილი ქონების სწორ დანიშნულების შესახებ, საჭიროა ორი მესამედი დამსწრე წევრთა ხმისა.

§ 27. თუ ვინიცობაა საზოგადოება რაიმე მიზეზით სამუდამოთ შესწყვეტს თავის მოქმედებას ყველა მის ქონებას და თანხებს ისეთი დანიშნულება მიეცემათ, როგორც საზოგადო კრება გადასწყვეტს, მხოლოდ ხალხის განათლების საქმეს კი უნდა მოახმარდეს.

## განცხადებანი

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 196 ივანე გერასიმეს ძე რავჩევის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1918 წელს გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1764 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ნოვი დელიჟანის სამმართველოდან 1915 წ. და ჯვრის წერის მოწმობა, მიღებული კაზახში 1917 წ. მარიამ ვლადიმერის ასული სტრელეცკაიას სახელზე გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1765 3—1

დაიკარგა საბინაო დავთარი, მადათოვის კუნძულზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სპირიდონ ბუხრაშვილს. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1766 3—1

ქ. სოხუმის 1 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ირინე გიორგის ასულ მერანოვის მიერ კონსტანტინე ტელიტზე და შედგენილი სოხუმის ნოტარიუსი ზატვორნიცკის მიერ 1920 წლის თებერვლის 3-ს რეესტრიით № 214, გაუქმებულია. 688 1—1

ტფილისის მე-12 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს 11 დეკემბრის 1901 წ. გარდაცვალებულ მარიამ ნიკოლოზის ასულის მეტრეველის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება მეტრეველის ქონებაზე, სამ. კან. კრებ. მე-1239 მუხ. აღნიშნული ვადაში. 1767 1-1

ქალაქ ქუთაისის მე-5 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ეფემია სიმონის ასულის კლდიაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კლდიაშვილის დანაშთ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 734 1—1

დაიკარგა კვიტანცია № 16, მიხეილ ეგორის ძე მელიქოვის სახელზე, მიღებული საგანგებო სარეკვიზიციო კომისიიდან ივლისის 2-ს 1920 წ. ტყავეულობის რეკვიზიციის შესახებ. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1769 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 12 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 85 მარტს 1920 წ. შესრულებული ნასყიდობა მიცემული მატრონა ელიზბარის ასული აბდუშელიშვილის მიერ კონსტანტინე ოქროპირის ძე ცირეკიძეზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში. აბორინის შესახვევში შენობით ზომით ა. 9 ს., დ. 9 ს., 5 ს. და ჩ. 5 ს. 12 გოჯი—100.000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 4000 მან. მთავარი ამონაწერი 1000 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 12 მაისს 1920 წ. 733 1—1

მომრიგებელი მოსამართლე ახმეტის სამომრიგებლო უბნისა თანახმად 542 მუხ. სამოქ. წარ. წესდ. მეათე ტომი ნაწილი პირველი, აცხადებს რომ მის მიერ დადგენილებით 7 ივნისს 1920 წელსა დაედო აკრძალვა გაყიდვისა ყურძნის ვენახზედ მდებარე სოფელ ახმეტაში, თიანეთის მაზრისა, კუთვნილ აწ გარდაცვალებულ დანიელ დავითის ძე მალალაშვილისა, ზომით 500 ოთხკუთ. საჟენი, საზღვრებისა შუა: აღმოსავლეთით დავით მალალაშვილის მამული, დასავლეთით პავლე გუგუტაშვილის ვენახი, სამხრეთით დავით მალალაშვილის ვენახი და ჩრდილოეთით ალექსანდრე გოჯიაშვილის ვენახი, დასაკმაყოფილებლად იოსებ მალალაშვილის ვალისა 2651 მან. და 10 კაპ. 697 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 14 მაისს 1920 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ონისიმე ბიჭიას ძე სვანიძის მიერ ირაკლი გაბრიელის ძე მარგველაშვილისადმი ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში, ბალის ქუჩა-ქუჩის მეორე შესახვევიდ შენობით $248\,^{10}/_{100}$ კ. ს. 300.000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 12000 მთავარი ამონაწერი 3000 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 14 მაისს 1910 წ. 733 1—1

1918 წ. მარტის 14-ს ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ევა დავითის ასულმა მენშეშევამ და ელისაბედ სოლომონის ასულმა პროვოტოროვამ 5,000 მ. მიჰყიდეს სტეფანე სერქსის ძე, იგივე არაქელისძე და ალექსანდრე ბაგრატის ძე ასლამაზოვებს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 20 კვ., ს. მდებარე ქალაქ ტფილისის მე-8 უბ. ქალ. № 328.

გადახდილია: საქტო—3 მ., განცხ.—1 მ. 50 კ., გადასაწერი—60 კაპ., სიმტკიცის—200 მან.

მთავარი ამონაწერი—25 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

327 1—2

1908 წ. მარტის 13-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ბართლომე ნიკოლოზ და კონსტანტინე ანტონისძეთ პეტრიაშვილებმა 3,000 მან. მიჰყიდეს სამსონ, გიორგი და ივანე ლუარსაბისძე ციტისელის მიწის ნაჭერი, მდებარე ქ. ტფილისის მე-7 უბ., ქალ. № 974.

გადასახდელია: საქტო 3 მ., განცხ.—1 მან. 50 კ., გადას.—60 კაპ. სიმტკიცის—120 მან.

მთავარი ამონაწერი 15 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

327 1—1

1919 წლის თებერვლის 5-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიქაელ მიხეილის ბაბურაშვილმა 22,000 მან. მიჰყიდა ილია დავითის ძე ბაბურაშვილს მიწის ნაჭერი, ზომით ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში ბელკოვნიკოვის და დვორიანსკის ქ. კუთხეზე ქალაქის № 792.

გადახდილია: საქტო—3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი—1 მან. 20 კ და სიმტკიცის 880 მან.

მთავარი ამონაწერი—110 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.

339 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 15 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 12 მარიობისთვეს 1919 წ. შესრულებული გამოყოფის სიგელი ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის მიერ ოლღა, თამარა და შალვა ნიკიფორეს ასული და ძე ჯანელიძეების შორის ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში შენობებით ზომით რომელიც შეხვდა ოლღას ა. 6 ს., სამ. 3 ნახ., ჩ. 4 ს. და დ. 6 ს., რომელიც შეხვდა თამარას ზომით 1 ნაკვეთი ა. 6 ს., დ. 6 ს., ს. $3\frac{1}{2}$ ს. და ჩ. 4 საჟ. შალვას შეხვდა უფლება $\frac{1}{5}$ ნაწილზედ ზომით მთლად 61 კ. ს: და $45/_{000}$ კ. ს. შეფასებით 20000 მან სიმტკიცის ბაჟი გადახდილია. მთავარი ამონაწერი 630 მან ღერბის ქაღალდზე მიცემულია 15 მაისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 15 მაისს 1920 წ. 12 მარიობისთვეს 1919 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული ნიკიფორე მოსეს ძე ჯანელიძის მიერ მატრონა მიხეილის ასული ჯანელიძეზე $\frac{1}{3}$ ნაწ. ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში შენობით ზომით მთლად ა. მხრივ 38 ს. დ. მხრივ 46 ს., ს. 50 ს. და ჩ. 44 ს. 5000 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 200 მან. მთავარი ამონაწერი 50 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 15 მაისს 1920 წ. 733 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლო თანახმად 3 ივნისის დადგენილებისა აცხადებს, რომ რწმუნების წერილი მიცემული თედორე სიმონის ძე იმედაძის მიერ პარმენ ყაზარის ძე ნურალოვზე, დამოწმებული ქუთაისის ნოტარიუს მოსიძის მიერ 31 დეკემბრის 1919 წ. 5801 ნომრის ქვეშ გაუქმებულია. 687 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 19 მაისს 1920 წ. დამტკიცდა 7 მარიამობისთვეს 1918 წ. შესრულებული ნაყიდობა მიცემული დიმიტრი გიორგის ძე წოწონავას მიერ თომა ანდრიას ძე გეგეჭკორზე ნაკვეთი მიწისა—მდებარე ქ. ქუთაისში წყალ გაღმა უბანში, ბალის ქუჩაზე შენობით ზომით $94\,^{17}/_{100}$ კ. ს. 1600 მანეთად. სიმტკიცის ბაჟი გადახდილია 64 მან. მთავარი ამონაწერი 16 მან. ღერბის ქაღალდზე მიცემულია 19 მაისს 1920 წ. 733 1—1

დაიკარგა მოწაფეთა ბილეთი № 41 დიმიტრი მატოთაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მე-5 გიმნაზიიდან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1726 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 3127 მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1916 წ. და სარეგისტრაციო ბარათი № 32- ,მიმიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1920 წ. გიორგი პავლეს ძე გრიქუროვის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1754 3—2

1919 წ. იანვრის 31-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იაზონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძე და ოლღა საჩინოს ასულ გაბაშვილებმა და დარია ვასილ გაბაშვილის ასულ ყიფშიძისამ 8.000 მ. მიჰყიდეს მართა მიხეილის ასულ ქართველოვას მიწის ნაჭერი ზომით №№ 109, 110, 115, 116, 122, 123, 128, 129, 133, 134, ზომით თითეული 400 ოთხკ. საჟ. სულ ყველა ნაჭრები 4.000 ოთხკ. ს. მეორე № 130 ზომით 400 ოთხკ. ს. № 131—368 ოთხკ. ს. სულ ორივე ნაჭერში 1 დეს. 1368 ოთხკ. ს. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში.

გადახდილია: საქტო 3 მ., განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კაპ., და სიმტკიცის 320 მან.

მთავარი ამონაწერი 40 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 330 1—1

1919 წლის იანვრის 30-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ილარიონ, იასონ, ნინო, გიორგი და ნიკოლოზ ვასილის ძეთ და ოლღა სასინოს ასული გაბაშვილებმა და დარია ვასილ გაბაშვილის ასული ყიფშიძისამ მიჰყიდა ელენე, მიხეილის ასული თაქთაქიშვილს მიწის ნაჭერი №№ 137, 138, 143, 144, 145, 146, 148, 149. ზომით თითო 400 ოთხკ, საჟ. სულ 3200 ოთხკ. საჟ. მეორე ნაწილი № 141, 460 ოთხკ. საჟ. № 142, 400 ოთხკ. საჟ. № 147—656 ოთხკ. ს. სამივეში 1510 ოთხკ. საჟ., ორივე ნაწილში 1 დეს. 2310 ოთხკ. საჟ., მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში.

გადახდილია: საქტო 3 მან. განცხადების 1 მ. 50 კ., გადასაწერი 60 კ., და სიმტკიცის 317 მან.

მთავარი ამონაწერი 40 მან. ღირებულ სალერბო ქაღალდზე. 339 1—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ტიტე ფეფელოვის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. რეესტრით № 992. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1730 3—2

სამეგრელოს ოლქის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაული ი. გელანტია ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 3 აგვისტოს 1920 წ. დილის 10 საათზე ქ. ახალსენაკში ყრილობის სადგომში დანიშნულია საჯარო გაყიდვა უძრავი ქონებისა კუთვნილი გარდაცვალებული პავლე გეგენავას მემკვიდრეების, რომელიც შეადგენს ერთი ნაკვეთი ეზოს ადგილს მდებარე ქ. ფოთში მიხეილის ქუჩაზედ ზომით 200 ოთხ. კუთხ. საჟენს. მიწას-მასზედ დგმული ერთი ხის შენობით ორი განყოფილებაში დახურული კრამიტით. ეს მამული იყიდება მევალე ბარბალე გეგენავასივალის დასაკმაყოფილებლად აღმასრულებელი ფურცლის ძალით. მამულზე ყადაღა არ ირიცხება და შეფასებულია 1050 მან. საბუთისა და აწერილობის ნახვა შეიძლება ყრილობის კანცელარიაში ყოველ დღე 9-2 საათ. 1920 წ. 988 4—3


**საზოგ. „კავკაზ და მერკური“ და „ვოსტოჩნოე“-ს ტფილისის კანტორა**

ამით აცხადებს, რომ მის საწყობში (განოვის ქ. № 3) ამა წლის 22 აგვისტოს დილის 11 საათზე საზოგადოების წესდების ძალით

**აუქციონით გაიყიდება მოუთხოვნელი ბარგი**

შემდეგი კვიტანციებით: № 50578—სახლის ავეჯეულობა წონ. 6 ფუთი 08 გ; № 77564 და 77565 მაუდის ნაჭრები წონ. 1048 ფ. 21 გ.; №№ 338963. კანაფის თოკი წონით 126 ფ. № 187541 ხის ბოჭკები წონით 24 ფ.; № 270146—მოკოს ყავა წონ. 33 ფ. 04 გ.; № 71078—ელექტრონის ხელსაწყობი. (ფაიფურის როლიკები № 28,7 და 6) წონ. 38 ფ. 25 გ. და ერთი ლითონის ქსელი (ბადე).

1750 3—2



**ტფილისის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარე**

**არკადი ნაზარის ძე მილოვი**

**იწვევს ტფილისის საბირჟო საზოგადოების წევრთ საზოგადო კრებაზე,**

რომელიც შესდგება კვირას, ივლისის 11, დილის 11 საათზე ბირჟის ბინაზე (პუშკ. ბაღი)

**განსახილველი საგნებია:**

1) მოხსენება საბირჟო კომიტეტის მოქმედების შესახებ 1919 წლ.
2) 1919 წლის ფულის ანგარიშის და 1920 წლ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა სარევიზიო კომისიის დასკვნით.
3) არჩევა საბირჟო კომიტეტის ორი წევრის ვ. ს. ტერ ზახაროვის და ს. ს. გულბეკიანის მაგიერად, რომელნიც თავს ანებებენ ვადის გათავების გამო, და კომიტეტის ოთხი წევრის კანდიდატის
4) სარევიზიო, საარბიტრაჟო და გადამღები კომისიების წევრების არჩევა.
5) მიმდინარე საქმეები.

იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე არ გამოცხადდება ბირჟის წესდების 15 მუხლის ძალით საჭირო წევრები, მეორე კრება ამავე საკითხების გასარჩევათ შესდგება 25 ივლისს დილის 11 საათზე იმავე შენობაში.

1774 1—1


რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.

სახელმწიფო სტამბა.